ხელშეკრულება N1-437/22
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

თბილისი 25 აგვისტო, 2022 წ.

ერთი მხრივ, **შპს „საქართველოს მელიორაცია“** (მის: თბილისი, გ. გულუას ქუჩა №6), წარმოდგენილი - მისი ექსპლუატაციის დირექტორის გიორგი ხუბუას სახით (შემდგომში ”შემსყიდველი”) და მეორე მხრივ, **შპს „ლავა“** (იურიდიული მის: ბოლნისი, დ. კაზრეთი,კორპ.126/1 ბ.13) წარმოდგენილი - მისი დირექტორის ლაშა ცხვედიანის სახით (შემდგომში ”მიმწოდებელი”), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 14.06.2017წ. N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მოთხოვნათა შესაბამისად, შემსყიდველმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე) **"მარნეულის მუნიციპალიტეტში ახალი სადახლოს მაგისტრალური არხის პკ 60+00-ზე მოწყობილი რკინაბეტონის დიუკერის შესასვლელ სათავისთან ეროზირებული ფერდის აღდგენა-გამაგრების“ სამუშაოების** სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის წინადადება შემდეგ თანხაზე: **546,963.43 (ხუთას ორმოცდაექვსი ათას ცხრაას სამოცდასამი ლარი და 43 თეთრი) ლარი** *დღგ-ს ჩათვლით* (შემდგომში “ხელშეკრულების ღირებულება”). დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.2. “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება შემსყიდველის მიერ გამოცხადებულ ტენდერში (NAT220012347).

1.3. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ “ხელშეკრულება”) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, მასზე თანდართული, მიმწოდებლის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების 1,2 პუნქტში მითითებული ტენდერისათვის, წარმოდგენილი, ყველა დოკუმენტით, კერძოდ:

1.3.1. სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა (დანართი №1).

1.3.2. NAT220012347 ელ. ტენდერში ატვირთული ტექნიკური დავალება (ანოტაცია, განმარტებითი ბარათი, ტექნიკური სპეციფიკაცია, ნახაზების ჩამონათვალი და ნახაზები).

1.3.3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

1.4. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, **NAT220012347 ელ. ტენდერის პირობების შესაბამისად, მიაწოდოს შემსყიდველს "მარნეულის მუნიციპალიტეტში ახალი სადახლოს მაგისტრალური არხის პკ 60+00-ზე მოწყობილი რკინაბეტონის დიუკერის შესასვლელ სათავისთან ეროზირებული ფერდის აღდგენა-გამაგრების“ სამუშაოები** (შემდგომში ”სამუშაო”), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს მოთხოვნილი NAT220012347 ტენდერით გათვალისწინებული სამუშაო და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 45240000.

2.3. შესასრულებელი სამუშაო(ები)ს კონკრეტული დასახელება, განზომილება, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება სამუშაოს ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად (დანართი №1).

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი/ინსპექტირება;

3.2. შემსყიდველი მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლ/ინსპექტირება ხორციელდება ინსპექტირების ჯგუფისა (შიდა ქართლისა და დასავლეთ საქართველოს რეგიონების პროექტების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი **მალხაზ ლორთქიფანიძე** ან/და შიდა ქართლისა და დასავლეთ საქართველოს რეგიონების პროექტების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი **გიორგი მაკაროვი**) და შემსყიდველის მიერ დაქირავებული შესაბამის სფეროში აკრედიტირებული სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველი კომპანიის **შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის** (შემდგომში „ზედამხედველი“) მიერ;

3.3. ინსპექტირების განმახორციელებელი პირების ფუნქციებია:

3.3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების გაკონტროლება (შემსყიდველის ინსპექტირების ჯგუფი/ზედამხედველი);

3.3.2. შესრულებული სამუშაოს შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან (ზედამხედველი);

3.3.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელება, მათ შორის შესრულებული სამუშაოს მოცულობებისა და ღირებულების დადასტურება (ზედამხედველი) და შესრულებული სამუშაოს მიღების უზრუნველყოფა (შემსყიდველის ინსპექტირების ჯგუფი);

3.3.4. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შეთანხმების პროცესში მონაწილეობის მიღება და ხელშეკრულებაზე დართვის მიზნით მიმწოდებელთან შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის შესყიდვების დეპარტამენტში გადაგზავნა, ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2 და 4.3 პუნქტების გათვალისწინებით (შემსყიდველის ინსპექტირების ჯგუფი).

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის/ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის/ინსპექტირების პროცესში გამოიყენებს გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომით ანაზღაურებას უზრუნველყოფს თავად შემსყიდველი;

3.5. ფარული სამუშაოების წარმოების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს ზედამხედველს და მათი დასწრების/თანხმობის გარეშე არ მიიყვანოს სამუშაოები იმ ეტაპზე, რის შემდეგაც შეუძლებელი იქნება ფარული სამუშაოების ხასიათისა და მოცულობის შეფასება.

3.6. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის/ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის/გაუმართაობის აღმოფხვრა და კონტროლის/ინსპექტირების ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება;

3.7. სამუშაოების მიმდინარეობაზე ინსპექტირების განმახორციელებელი პირები კონტროლს/ინსპექტირებას აწარმოებენ საქართველოს კანონმდებლობის, საპროექტო დოკუმენტაციის და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები;

3.8. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ინსპექტირების განმახორციელებელი პირებისა (ინსპექტირების ჯგუფი/ზედამხედველი) და მიმწოდებლის წარმომადგენლ(ებ)ის მონაწილეობით, ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად აღიწერება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გარემოებები. თუ მიმწოდებლის წარმომადგენელი უარს აცხადებს მონაწილეობაზე ზემოაღნიშნული აქტის შედგენაში, მოცემული ფაქტი ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იგივე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენის მონაწილეობით შედგენილი აქტი. სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას დეფექტ(ებ)ი/გაუმართაობები, რომელთა ღირებულება მიმწოდებელს დამატებით არ აუნაზღაურდება.

4. სამუშაოს შესრულების ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო განახორციელოს შემსყიდველის წერილობითი დავალებიდან **120 კალენდარულ დღეში**, რომელშიც გათვალისწინებულია მხოლოდ მშენებლობის ვადა, სავეგეტაციო პერიოდის გაუთვალისწინებლად.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შემსყიდველთან წარდგენა, იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ორგანიზაცია არ შეითანხმებს წარმოდგენილ გეგმა-გრაფიკს და მოითხოვს მის კორექტირებას, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან შეთანხმებული კორექტირებული გეგმა-გრაფიკი წარმოადგინოს შემსყიდველი მიერ კორექტირების მოთხოვნის წერილობითი მიმართვიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. გეგმა-გრაფიკი უნდა იყოს, როგორც ხაზოვანი, ასევე, თანხობრივი, თვეების ჭრილში. აღნიშნული გეგმა-გრაფიკი დაერთვება ხელშეკრულებას დანართად. შემსყიდველისათვის წარდგენილი გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული ვადები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაოების დასრულების ვადას.

4.3. გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველის აფრთხილებს მიმწოდებელს და შესაძლებელია მოსთხოვოს და შეითანხმოს განახლებული გეგმა-გრაფიკი, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს თითოეული სამუშაოს ფაქტიური პროგრესი და ის ზეგავლენა, რომელსაც ის იქონიებს დარჩენილი სამუშაოების ვადებზე და ღონისძიებების თანმიმდევრობაზე. განახლებული გეგმა-გრაფიკი მიმწოდებლის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

4.4. სავალდებულოა სამუშაოები წარმოებული იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულების გეგმა-გრაფიკის განუხრელი დაცვით, მაქსიმალურად უწყვეტ რეჟიმში.

4.5. ერთზე მეტი გაფრთხილების მიცემის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და აამოქმედოს ხელშეკრულებით საამისოდ განსაზღვრული პირობები.

4.6. სამუშაოების წარმოების ადგილია: მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფელი სადახლო.

4.7. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმებისა და წესების დაცვით. საჭიროების შემთხვევაში ყველა ნებართვის, ლიცენზიის და სხვა უფლების მიმნიჭებელი დოკუმენტაციის მოპოვება ევალება მიმწოდებელს.

4.8. მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოების შესრულების ვადის გაზრდის მოთხოვნით, რაც განპირობებულია მისგან დამოუკიდებელი ობიექტური შემაფერხებელი გარემოებებით, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მიმართვამდე, უზრუნველყოს ზედამხედველთან აღნიშნული საკითხის შეჯერება (გარდა პროექტის კორექტირებით გამოწვეული სამუშაოების შესრულების ვადის გაზრდის შემთხვევებისა) და ვადის გადაწევის მოთხოვნასთან ერთად შემსყიდველს წარუდგინოს ზედამხედველის პოზიციაც.

5. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს წარდგენა ხორციელდება სულ მცირე თვეში ერთხელ. შესრულებული სამუშაოს შემოწმებას და დადასტურებას ახორციელებს ზედამხედველი (3.3.2. პუნქტის შესაბამისად). მიმწოდებელი არ არის შეზღუდული საანგარიშო პერიოდში წარმოადგინოს რამდენიმე შესრულება.

5.2. შესრულებული სამუშაო ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი (ფორმა N2)) გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურების შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერენ: მიმწოდებელის წარმომადგენელი, ზედამხედველი და ინსპექტირების ჯგუფი.

5.3. ფარული სამუშაოების მიღება-ჩაბარებისათვის, აუცილებელია დაცული იყოს აღნიშნული ხელშეკრულების 3.5. პუნქტით განსაზღვრული პირობები.

5.4. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს, ზედამხედველის მიერ დადასტურებული, შესრულებული სამუშაოს აქტი და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5.5. მიღება-ჩაბარების აქტი დგება სამუშაოს (ან მისი ნაწილის) ყოველი მიწოდების დასრულების შემდეგ.

5.6. სამუშაოს მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება სამუშაოს შესრულების ადგილზე.

5.7. სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარება შემსყიდველის მხრიდან დასტურდება საამისოდ შექმნილი კომისიის მიერ, რომელიც ადგილზე ამოწმებს შესრულებული სამუშაოების შესაბამისობას ხელშეკრულების პირობებთან და ბოლო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შესახებ;

5.8. სამუშაოს (ან მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას *<u>გონივრულ ვადაში</u>* საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

6.2. ანგარიშსწორების მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს სულ მცირე ყოველთვიურად წარუდგინოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის მითითებით. მიმწოდებელი არ არის შეზღუდული საანგარიშო პერიოდში წარმოადგინოს რამდენიმე შესრულება.

6.3. ანგარიშსწორება ხორციელდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოებისა და შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის მიერ დადასტურებული მოცულობების მიხედვით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან (რომელიც უფრო გვიან დადგება) 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.4. სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებით განსაზღვრული ანგარიშსწორება განხორციელდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

6.5. ყოველი ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხიდან განხორციელდება დაქვითვები 6.7.8. (ავანსის დაქვითვა), 7.6. (ხარისხის უზრუნველყოფის გარანტია) და 9.8. (ადმინისტრაციული სახდელი) პუნქტების პირობების გათვალისწინებით.

6.6. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშსწორების მომენტისათვის, მიმწოდებელს შემსყიდველის მიმართ აქვს ამ ხელშეკრულებიდან ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე შეუსრულებელი ფულადი ვალდებულებები (მათ შორის გადაუხდელი პირგასამტეხლო), შემსყიდველი უფლებამოსილია გამოქვითოს აღნიშნული თანხა გადასახდელი ოდენობიდან.

6.7. წინასწარი ანგარიშსწორების პირობები:

6.7.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი მოთხოვნა წინასწარი ანგარიშსწორების თანხის (ავანსის) გადახდის თაობაზე, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 20%.

6.7.2. ავანსის გადახდის თაობაზე წერილობით მოთხოვნასთან ერთად, მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ამონაწერი მოვალეთა რეესტრიდან, იმის დასტურად რომ იგი რეგისტრირებული არ არის მოვალეთა რეესტრში, ასევე, ცნობა შესაბამისი ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს, რომ მას არ ერიცხება სალდირებული დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დოკუმენტებით იკვეთება, რომ მიმწოდებელი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში ან სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე მიმწოდებელს ერიცხება სალდირებული დავალიანება, ავანსის გადახდის საკითხს, მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, გადაწყვეტს შემსყიდველი.

6.7.3. შემსყიდველის მიერ ავანსის გადახდის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებულ საბანკო/სადაზღვევო დაწესებულების მიერ გაცემული წინასწარი ანგარისწორების (საავანსო) საბანკო გარანტია, მოთხოვნილი თანხის იდენტურ ოდენობაზე. შესაძლებელია ასევე წარმოდგენილ იქნას უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საავანსო საბანკო გარანტია, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ. საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

6.7.4. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ვადაგაგრძელებული ან ახალი საბანკო გარანტია, რომელიც 60 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების გაგრძელებულ ვადას. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ შეთანხმების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში არ ან ვერ უზრუნველყოფს ვადაგაგრძელებული ან ახალი საბანკო გარანტიის წარმოდგენას, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს საბანკო გარანტიის გამცემ დაწესებულებას საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის სრულად გამოთხოვის თაობაზე.

6.7.5. ავანსის გადახდა განხორციელდება ზემოაღნიშნული საავანსო საბანკო გარანტიის შემსყიდველისათვის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.7.6. საავანსო საბანკო გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უფლებას აძლევდეს, საავანსო საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, მიიღოს საავანსო საბანკო გარანტიით განსაზღვრული შესაბამისი თანხა.

6.7.7. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი რეგისტრირებულია კეთილსინდისიერ მიმწოდებელთა რეესტრში ე.წ. „თეთრ სიაში“, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს წარუდგინოს საავანსო საბანკო გარანტია გასაცემი ავანსის ნახევრის ოდენობაზე. აღნიშნულ შემთხვევაში, თავდაპირველად განხორციელდება არაუზრუნველყოფილი საავანსო თანხის სრულად დაქვითვა.

6.7.8. ავანსად გადარიცხული თანხის დაქვითვა მოხდება ეტაპობრივად, კერძოდ, მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან დაუკავდება თანხის ის პროცენტული ოდენობა, ხელშეკრულების ღირებულების რა პროცენტიც მიღებული აქვს ავანსად.

6.7.9. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულება შეწყდა ვადაზე ადრე ან/და მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ უზრუნველყოფს სამუშაოს შესრულებას და მხარეები ვერ თანხმდებიან ამ ვადის გაგრძელებაზე, მიმწოდებელი ვალდებულია შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, დააბრუნოს წინასწარ ავანსის სახით გადარიცხული თანხიდან დაუქვითავი ნაწილი (იგივე ვალდებულება ვრცელდება „თეთრ სიაში“ რეგისტრირებულ მიმწოდებელზე, როგორც არაუზრუნველყოფილ, ასევე, უზრუნველყოფილ საავანსო თანხაზე), წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს საავანსო საბანკო გარანტიის გამცემ დაწესებულებას შესაბამისი თანხის დაბრუნების თაობაზე.

6.8. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების 9.3, 9.4 და 9.5.2 პუნქტ(ებ)ით დაკისრებული პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.

6.9. ხარჯთაღრიცხვაში ასახული გაუთვალისწინებელი სამუშაოების თანხების ხარჯვა მიმწოდებლის მიერ მოხდება მხოლოდ აუცილებლობიდან გამომდინარე, შემსყიდველთან წინასწარი შეთანხმებით.

6.10. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

7. საგარანტიო პირობები და ვადები

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაო იქნება ხარისხიანი, სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს და შეესაბამება სამუშაოს შესრულების ტექნიკურ პირობებს.

7.2 გარანტია ვრცელდება შენობა-ნაგებობებზე და მათ სამშენებლო სამუშაოებზე გამოყენებულ ნებისმიერ მასალაზე, ასევე, ელექტრო, მექანიკურ და ელექტრო-მექანიკურ დანადგარებზე/მოწყობილობებზე (მათ შორის ძრავები, ტუმბოები, ფარები, ამწე მექანიზმები, სარქველები, ურდულები და ა.შ).

7.3 შესრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს 3 (სამი) წელს, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი პირების მიერ სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან. აღნიშნული ვადის პირველი წლის განმავლობაში, შესრულებული სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, მიმწოდებლის პასუხისმგებლობა დეფექტ(ებ)ის/გაუმართაობ(ებ)ის აღმოფხვრაზე უზრუნველყოფილი იქნება სამუშაოების ღირებულების 5%-ით.

7.4 შემსყიდველის მხრიდან, საგარანტიო ვალდებულების შესრულების საჭიროების თაობაზე, შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ყველა გამოვლენილი დეფექტი/გაუმართაობა. იმ შემთხვევაში თუ დეფექტ(ებ)ის/გაუმართაობ(ებ)ის სირთულიდან გამომდინარე, მის აღმოსაფხვრელად საჭიროა მეტი ვადა, მიმწოდებელმა 10 დღიანი ვადის გასვლამდე შემსყიდველთან უნდა შეათანხმოს მოცემული ვადის გაგრძელების საკითხი. ნებისმიერ შემთხვევაში დეფექტ(ებ)ის/გაუმართაობ(ებ)ის აღმოფხვრის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს, შემსყიდველის მხრიდან, საგარანტიო ვალდებულების შესრულების საჭიროების თაობაზე, შეტყობინების მიღების დღიდან. ზემოაღნიშნული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით დაერიცხება ხელშეკრულების ღირებულების 0.05% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. საგარანტიო ვადის პირველი წლის განმავლობაში, პირგასამტეხლოს მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში, შესაბამისი თანხა დაიქვითება 7.6 პუნქტის თანახმად დაკავებული თანხიდან.

7.5 თუ საგარანტიო ვადის ამოწურვის მომენტისათვის შემსყიდველს მიმწოდებლისთვის გაგზავნილი აქვს საგარანტიო ვალდებულების შესრულების საჭიროების შეტყობინება ან თუ მოცემულ დროს წარმოებს გამოვლენილი დეფექტ(ებ)ის/გაუმართაობ(ებ)ის აღმოფხვრის სამუშაოები, შესრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადა გაგრძელდება შესაბამისი დეფექტე(ებ)ის/გაუმართაობ(ებ)ის აღმოფხვრამდე.

7.6 შესრულებული სამუშაოების ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ ყოველი შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან დაკავებული იქნება ამ სამუშაოს ღირებულების 5%. აღნიშნული თანხის ნახევარი (2.5%) მიმწოდებელს აუნაზღაურდება დეფექტებზე პასუხისმგებლობის პირველი 6 თვის გასვლის შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარი (2.5%) - დეფექტებზე პასუხისმგებლობის 1 წლის გასვლის შემდეგ. ამასთან, ორივე შემთხვევაში, ანაზღაურება მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი დაამოწმებს, რომ მიმწოდებლის მიერ გასწორებულია ყველა აღმოჩენილი დეფექტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ამ მუხლით განსაზღვრულ პასუხისმგებლობის პერიოდ(ებ)ის დასრულებამდე.

7.7 იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი მიზეზით, მიმწოდებელი ვერ/არ უზრუნველყოფს საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი დეფექტ(ებ)ის/გაუმართაობ(ებ)ის აღმოფხვრას, სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით შესაბამისი ეტაპისთვის დაკავებული თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პირგასამტეხლოს სახით, მთლიანად რჩება შემსყიდველს, ხოლო საგარანტიო ვადის პირველი წლის შემდეგ, თუკი ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხა დაბრუნებულია, მიმწოდებელს დეფექტ(ებ)ის/გაუმართაობ(ებ)ის აღმოუფხვრელობისათვის დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.8 თუ 7.7 პუნტში აღნიშნული დეფექტ(ებ)ის/გაუმართაობ(ებ)ის აღმოფხვრისათვის საჭირო თანხა აღემატება სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულ თანხას, შემსყიდველი უფელბამოსილია, დამატებით მოსთხოვოს მიმწოდებელს აღნიშნული სხვაობის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.9 შემსყიდველი უფლებამოსილია, საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, გადაუხადოს მიმწოდებელს სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხა, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებულ საბანკო/სადაზღვევო დაწესებულების მიერ გაცემულ საბანკო გარანტიას, დაკავებული თანხის იდენტურ ოდენობაზე (შესაძლებელია ასევე წარმოდგენილ იქნას უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტია, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ).

ამასთან, შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი უნდა ადასტურებდეს, მოცემული მომენტისთვის, შესრულებულ სამუშაოზე დეფექტ(ებ)ის/გაუმართაობ(ებ)ის არარსებობას.

7.10 7.9 პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უფლებას აძლევდეს, საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, მიიღოს საბანკო გარანტიით განსაზღვრული სრული თანხა. აღნიშნულ საბანკო გარანტიის უნდა გააჩნდეს მოქმედების ვადა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 425 კალენდარული დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვული სხვა პირობების შესრულებისაგან.

8.3. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.

8.4. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:

8.4.1. მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ ვალდებულებებს;

8.4.2. მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

8.4.3. მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

8.4.4. მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

8.4.5. ამოიწურა ხელშეკრულებაზე თანდართული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით განსაზღვრული ვადა და მიმწოდებელმა შემსყიდველს არ წარუდგინა ახალი საბანკო გარანტია;

8.4.6. მიმწოდებელმა განმეორებით დაარღვია ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი;

8.4.7. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

8.4.8. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.5. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ხელშეკრულების მე-12 მუხლში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, *კანონმდებლობით დადგენილი წესით.*

9.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.2 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა დღეში.

9.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას სამუშაოს შესრულების ვადებით გათვალისწინებული, საბოლოო ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.2 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა დღეში.

9.4. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულების 4.2. პუნქტით გათვალისწინებული ვად(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გადაუხადოს, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 100 ლარი.

9.5. ხელშეკრულების ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ერთ-ერთი შემდეგი მეთოდით:

9.5.1. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკერულების შეწყვეტის ან ვადის გასვლის მომენტისათვის მოცემული ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული წესით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ით დადასტურებული შესრულებული სამუშაოების ღირებულება აღემატება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 65%-ს, შემსყიდველი გამოითხოვს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიას სრულად.

9.5.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკერულების შეწყვეტის ან ვადის გასვლის მომენტისათვის მოცემული ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული წესით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ით დადასტურებული შესრულებული სამუშაოების ღირებულება არ აღემატება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 65%-ს, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით, ასევე, შემსყიდველი გამოითხოვს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიას სრულად.

9.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით, ასევე, შემსყიდველი გამოითხოვს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბაკო გარანტიას სრულად.

9.7. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან შემსყიდველის მხრიდან სამუშაოების შეჩერების მოთხოვნით.

9.8. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა მსგავსი გარემოებით.

10.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარე, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ, სათანადო მიზეზების მითითებით. მოცემულ ვადაში შეუტყობინებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს. ფორს-მაჟორის ფაქტი და მისი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ვალდებულების შეუსრულებლობასთან უნდა დადასტურდეს დოკუმენტალურად;

10.3. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. <u>სადაო საკითხების გადაწყვეტა</u>

11.1. *<u>მხარეთა შორის წარმოშობილი სადაო საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონდებლობით დადგენილი წესით.</u>*

12. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

12.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულია მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია მთლიანი სახელშეკრულებო თანხის **5 (ხუთი)** პროცენტის ოდენობით, რომლის ვადა მინიმუმ 60 (სამოცი) დღით აღემატება ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

12.2. საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებულ საბანკო/სადაზღვევო დაწესებულებიდან. შესაძლებელია ასევე წარმოდგენილ იქნას უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტია, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ.

12.3. საბანკო გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უფლებას აძლევდეს, საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, მიიღოს საბანკო გარანტიით განსაზღვრული სრული თანხა.

12.4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გამოიყენება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების რისკის თავიდან ასაცილებლად, ასევე, აღნიშნული ქმედებით გამოწვეული ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის შემცირება არ განხორციელდება ხელშეკრულების თანახმად დაკისრებული პირგასამტეხლოების თანხის პროპორციულად (გარდა 12.5. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევ(ებ)ისა), პირგასამტეხლოს გადახდას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიმწოდებელი უზრუნველყოფს დამატებით.

12.5. იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების 9.3. პუნქტის მიხედვით დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა აღემატება მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელ თანხას და შესაბამისად 6.8. პუნქტის პირობების თანახმად გამოსაქვითი თანხა ვერ ფარავს პირგასამტეხლოს სრულ ოდენობას, შემსყიდველი უფლებამოსილია, სხვაობა აინაზღაუროს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხიდან.

12.6. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების და შემსყიდველის მიერ ამ შესრულების მიღების შემდეგ, ასევე, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

12.7. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია გამოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია და მიიღოს საბანკო გარანტიით განსაზღვრული სრული თანხა.

12.8. შემსყიდველის მიერ, ხელშეკრულების 8.4. მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისას, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს საბანკო გარანტიის გამცემ დაწესებულებას საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის სრულად გამოთხოვის თაობაზე. ამ შემთხვევაში მიმწოდებელი არ თავისუფლდება შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან, იმ სხვაობის ფარგლებში, რითაც აღემატება მიყენებული ზიანი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობას.

12.9. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ვადაგაგრძელებული ან ახალი საბანკო გარანტია, რომელიც 60 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების გაგრძელებულ

ვადას. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ შეთანხმების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში არ ან ვერ უზრუნველყოფს ვადაგაგრძელებული ან ახალი საბანკო გარანტიის წარმოდგენას, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს საბანკო გარანტიის გამცემ დაწესებულებას საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის სრულად გამოთხოვის თაობაზე.

12.10. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის გამოთხოვის პირობების დადგომისას, შესაბამისი თანხა ჩარიცხოს შემსყიდველის საბანკო ანგარიშზე და მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დაბრუნება.

13. ქვეკონტრაქტორთან დაკავშირებული პირობები

13.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია ქვეკონტრაქტორს გადაეცეს მთლიანი სამუშაოების ღირებულებითი მოცულობის არაუმეტეს 30%.

13.1.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ქვეკონტრაქტორს გადასცემს მთლიანი სამუშაოების 10%-დან - 30 %-ის ღირებულებითი მოცულობის სამუშაოებს, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციასთან შეათანხმოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში, ქვეკონტრაქტორს უნდა გააჩნდეს სატენდერო პირობების 2.2.1 პუნქტით გათვალისწინებული გამოცდილება (ფაქტობრივად შესრულებული ღირებულებების ჯამი და ერთი შესრულებული ხელშეკრულების (დასრულებული სამუშაო) ფარგლების განსახორციელებელი სამუშაოების სავარაუდო სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 50%-ი ან ორი შესრულებული ხელშეკრულების (დასრულებული სამუშაო) ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების სავარაუდო სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 60%-ი (თითოეული ხელშეკრულებისთვის განსახორციელებელი სამუშაოების სავარაუდო სახარჯთაღრიცხვო ღირებულების არანაკლებ 30%-ის ოდენობით) განისაზღვრება ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებიდან გამომდინარე და გამოითვლება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შემუშავებული/პრაქტიკაში არსებული დაანგარიშების ფორმულის მიხედვით). გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი სატენდერო პირობების 2.2.1 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. პრეტენდენტს გამოცდილებაში ჩაეთვლება იმ ტიპის სამუშაოები, რაც ანალოგიური ან მსგავსია ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოებისა.

13.2. ქვეკონტრაქტორი არ უნდა იყოს დარეგისტრირებული შავ სიაში.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერით გათვალისწინებულია სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენა, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს სატენდერო პირობების მე-5 მუხლის შესაბამისი ქვეპუნატით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორის სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი.

13.4. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესაბამისი სამუშაოს ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისგან და აღნიშნულ სამუშაოზე შემსყიდველის წინაშე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

14.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

14.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგადაც იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

14.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

14.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

15. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

15.2 მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაოების პროცესში გამოსაყენებელი სხვადასხვა მასალებისა და კონსტრუქციების (ღარები, ფილები და ა.შ.) დადგენილ ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დოკუმენტალური დადასტურება, კანონმდებლობით განსაზღვრული ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე მეთოდით:

15.2.1 შესაბამისობის დეკლარაციით - რომლითაც, მწარმოებელი ადასტურებს შესაბამისობის შეფასების ობიექტის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას;

15.2.2 შესაბამისობის სერტიფიკატით - რომლითაც სერტიფიკაციის ორგანო ადასტურებს შესაბამისობის შეფასების ობიექტის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას;

15.2.3 ინსპექტირების სერტიფიკატით ან/და ოქმით - რომლითაც ინსპექტირების ორგანო ადასტურებს შესაბამისობის შეფასების ობიექტის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

შესრულებული სამუშაოს დადასტურების პროცესის შეფერხების თავიდან აცილებისათვის რეკომენდირებულია ზემოთაღნიშნული დოკუმენტაცია წარდგენილ იქნას შესაბამისი მასალებისა და კონსტრუქციების გამოყენებამდე.

15.3 ხარჯთაღრიცხვაში ასახული გაუთვალისწინებელი სამუშაოების თანხების ხარჯვა მიმწოდებლის მიერ მოხდება მხოლოდ აუცილებლობიდან გამომდინარე, შემსყიდველთან წინასწარი შეთანხმებით.

15.4 მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საშემსრულებლო ნახაზ(ებ)ის წარდგენა.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 10 მარტის ჩათვლით.

17. <u>ბარეთა რეკვიზიტები</u>

„შემსყიდველი”
შპს „საქართველოს მელიორაცია“
მის: თბილისი, გ. გულუას ქუჩა N6
ტელ: (995 32) 2 48 01 00.
სს თიბისი ბანკი
ა/ა GE42TB7484736020100003; ბანკის კოდი: TBCBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 204524568

Georgian Amelioration LLC
Digitally signed by Georgian Amelioration LLC
Date: 2022.08.25 13:43:43 +04'00'

„მიმწოდებელი“
შპს „ლავა“
მის: ბოლნისი, დ. კაზრეთი,კორპ.126/1 ბ.13
ტელ: +99596155111;
ელ-ფოსტა: tskhvediani85@gmail.com
სს ,,საქართველოს ბანკი"
ა/ა GE38BG0000000320046000; ბანკის კოდი: BAGAGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 425357277

Lasha Tskhvediani
Digitally signed by Lasha Tskhvediani
Date: 2022.08.25 14:04:47 +04'00'

„შემსყიდველი“
შპს „საქართველოს მელიორაცია“

_____

გიორგი ხუბუა
ექსპლუატაციის დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „ლავა“

_____

ლაშა ცხვედიანი
დირექტორი

დანართი №1

სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა)

ობიექტის დასახელება: **„მარნეულის მუნიციპალიტეტში ახალი სადახლოს მაგისტრალური არხის პკ 60+00-ზე მოწყობილი რკინაბეტონის დიუკერის შესასვლელ სათავისთან ეროზიული ფერდის აღდგენა - გამაგრება"**

"შპს ლავა" *(პრეტენდენტის დასახელება)*

"29"ივლისი" 2022 წ *(შევსების თარიღი)*

სატენდერო წინადადების ფასი 546 963.43 ლარი *(თანხა ციფრებით)*

(ხუთას ორმოცდაექვსი ათას ცხრაას სამოცდასამი ლარი და 43 თეთრი) *(თანხა სიტყვიერად)*

№	შიფრი	სამუშაოს დასახელება	ერთეულის განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
1	2	3	4	5	6	7
№1		**1. მოსამზადებელი და სალიკვიდაციო სამუშაოები**				
1		ინვენტარული ღობის მონტაჟი და დემონტაჟი (ღობის პერიმეტრი -90 მ, სიმაღლე- 2,5 მ)	მ^2	250.00	10.00	2500.00
2		ტერიტორიის გაწმენდა ბუჩქნარისა და ეკალბარდებისაგან, შეგროვება და დაწვა	მ^2	1600.00	5.00	8000.00
3		ექსკავატორით 5მ-მდე სიმაღლის ჭრილის დამუშავება საფეხურის მოსაწყობად III ჯგუფის გრუნტში და ჩატვირთვა ავტოთვითმცლელებში	მ^3	325.00	5.00	1625.00
4		არხის კალაპოტში დროებითი ჩასასვლელი გზის მოსაწყობად ექსკავატორით III ჯგუფის გრუნტის დამუშავება და ჩატვირთვა ავტოთვითმცლელებში	მ^3	80.00	5.00	400.00
5		დროებითი ჩასასვლელი გზის სავალი ნაწილის მოხრეშვა, სისქით 20 სმ	მ^3	10.00	30.00	300.00
6		დატვირთული გრუნტის ტრანსპორტირება ავტოთვითმცლელებით 2 კმ-მდე მანძილზე და დასაწყობება შემდგომი გამოყენებისთვის	ტ	729.00	5.00	3645.00
7		III ჯგუფის გრუნტის ჩატვირთვა ავტოთვითმცლელებში დროებით სანაყაროზე	მ^3	80.00	5.00	400.00
8		გრუნტის ტრანსპორტირება ავტოთვითმცლელებით 2 კმ-მდე მანძილზე დროებითი ჩასასვლელის შესავსებად	ტ	144.00	5.00	720.00
9		დროებითი ჩასასვლელის შევსება ადგილობრივი გრუნტით და დატკეპნა ფენებად	მ^3	80.00	20.00	1600.00
		სულ №1				**19190.00**
№2		**ფერდობის გამაგრება გაბიონის საყრდენი კედლებით**				
		გაბიონის საყრდენი კედლები მოწყობა 2-3 და 4-5 ღერძებს შორის (L=24მ)				

1	2	3	4	5	6	7
1		ექსკავატორით 5მ-მდე სიმაღლის ჭრილის დამუშავება III ჯგუფის გრუნტში და ჩატვირთვა ავტოთვითმცლელებში	$მ^3$	499.00	5.00	2495.00
2		III ჯგუფის გრუნტის დამუშავება/ჩასწორება ხელით ქვაბულში და ჩატვირთვა ავტოთვითმცლელებში	$მ^3$	27.00	20.00	540.00
3		15სმ სისქის ღორღის საფუძვლის მოწყობა და დატკეპნა	$მ^3$	15.00	20.00	300.00
4		გაბიონის კედლის უკან საფილტრაციო ფენის მოწყობა 500გრ/$მ^2$ სიმკვრივის გეოტექსტილით	$მ^2$	288.00	30.00	8640.00
5		გაბიონის კედლების მოწყობა სტანდარტული უჟანგავი მავთულის ყუთებით და შევსება ფლეთილი ქვით	$მ^3$	551.00	60.00	33060.00
6		გაბიონის კედლის უჟანგავი მავთულის ყუთების შეძენა ზომით 2x1x1 მ 1ც-17.5 კგ d=2.7მმ	ცალი	151.00	110.00	16610.00
7		გაბიონის კედლის უჟანგავი მავთულის ყუთების შეძენა, ზომით 1.5x1x1 მ 1ც-14.0 კგ d=2.7მმ	ცალი	166.00	80.00	13280.00
8		ბალასტის უკუჩაყრა და დატკეპნა	$მ^3$	170.00	20.00	3400.00
9		დატვირთული გრუნტის ტრანსპორტირება ნაყარში	ტ	946.80	5.00	4734.00
10		სანაყაროში მუშაობა ბულდოზერით	$მ^3$	526.00	5.00	2630.00
		გაბიონის ლეიბის მოწყობა 3-4 ღერძებს შორის (L=6მ)				0.00
11		ექსკავატორით 5მ-მდე სიმაღლის ჭრილის დამუშავება III ჯგუფის გრუნტში და ჩატვირთვა ავტოთვითმცლელებში	$მ^3$	72.00	5.00	360.00
12		III ჯგუფის გრუნტის დამუშავება ხელით ფერდობზე და ჩატვირთვა ავტოთვითმცლელებში	$მ^3$	48.00	20.00	960.00
13		15სმ სისქის ღორღის საფუძვლის მოწყობა და დატკეპნა	$მ^3$	1.80	20.00	36.00
14		ლეიბების ქვეშ საფილტრაციო ფენის მოწყობა 500გრ/$მ^2$ სიმკვრივის გეოტექსტილით	$მ^2$	96.00	40.00	3840.00
15		გაბიონის ლეიბების მოწყობა სტანდარტული უჟანგავი მავთულის ყუთებით და შევსება ქვით (43.2 $მ^3$)	$მ^2$	144.00	70.00	10080.00
16		გაბიონის ლეიბის უჟანგავი მავთულის ყუთების შეძენა, ზომით 2X3X0.3 მ d=2.7მმ	ცალი	24.00	150.00	3600.00
17		დატვირთული გრუნტის ტრანსპორტირება ნაყარში	ტ	216.00	5.00	1080.00
18		სანაყაროში მუშაობა ბულდოზერით	$მ^3$	120.00	5.00	600.00
		სულ №2				**106245.00**
№3		**ავარიული წყალსაგდების მოწყობა**				
		ავარიული წყალსაგდების წყალმიმღები სათავისის მოწყობა				
1		დიუკერის არსებული სათავისის რკ.ბეტონის მონგრევა წყალგადამღვრელის მოსაწყობად	$მ^3$	2.50	30.00	75.00
2		**ა-1** Ø14 A500C ანკერების შეძენა მოწყობა სიგრძით 0.6მ	ცალი	26.00	30.00	780.00
3		**ა-2** Ø14 A500C ანკერების შეძენა მოწყობა სიგრძით 0.6მ	ცალი	13.00	30.00	390.00
4		B-25 F200 W6 კლასის მონოლითური რკინაბეტონის სარტყელის მოწყობა დიუკერის არსებულ სათავისზე	$მ^3$	5.90	400.00	2360.00
5		არმატურა A500C შეძენა მონტაჟი	ტ	0.16	2800.00	448.00
6		არმატურა A240 შეძენა მონტაჟი	ტ	0.07	2800.00	196.00

1	2	3	4	5	6	7
7		გადამღვრელის დაბეტონების ნაკერის ჰერმეტიზაცია ჰიდროსაიზოლაციო ზონარით (ფართოვდება დასველებისას)	მ	6.90	120.00	828.00
8		B-25 F200 W6 კლასის მონოლითური რკინაბეტონის გადამღვრელის მოწყობა	$მ^3$	2.10	400.00	840.00
9		არმატურა A500C შეძენა მონტაჟი	ტ	0.20	2800.00	560.00
10		**„ჩდ-1"** ჩასაყოლებელი დეტალები (4 ცალი)	კგ	11.10	50.00	555.00
11		III კატ. გრუნტის დამუშავება ქვაბულში ექსკავატორით ავტოთვითმცლელებზე დატვირთვით	$მ^3$	110.00	5.00	550.00
12		ბალასტის უკუჩაყრა და დატკეპნა (ბალიშის მოწყობა და გვერდების შევსება)	$მ^3$	67.00	20.00	1340.00
13		B-25 კლასის მონოლითური ბეტონით მოსამზადებელი ფენის მოწყობა სისქით 15 სმ	$მ^3$	3.36	400.00	1344.00
14		B-25 F200 W6 კლასის მონოლითური რკინაბეტონით საძირკვლის ფილის მოწყობა სისქით 50 სმ	$მ^3$	9.90	400.00	3960.00
15		არმატურა A500C შეძენა მონტაჟი	ტ	1.22	2800.00	3416.00
16		არმატურა A240 შეძენა მონტაჟი	ტ	0.07	2800.00	196.00
17		სათავისის ძირის დაბეტონების ნაკერის ჰერმეტიზაცია ჰიდროსაიზოლაციო ზონარით (ფართოვდება დასველებისას)	მ	17.20	50.00	860.00
18		B-25 F200 W6 კლასის მონოლითური რკინაბეტონის კედლების მოწყობა სისქით 50 სმ	$მ^3$	22.20	400.00	8880.00
19		არმატურა A500C შეძენა მონტაჟი	ტ	1.24	2800.00	3472.00
20		არმატურა A240 შეძენა მონტაჟი	ტ	0.13	2800.00	364.00
21		სადეფორმაციო ნაკერის მოწყობა 5სმ სისქის ქაფპლასტის ჩადებით	$მ^2$	22.00	60.00	1320.00
22		ქვიშა-ცემენტის დუღაბის (მ-200) ქანობიანი ფენის მოწყობა სათავისის ძირში საშ. სისქით 17სმ	$მ^2$	11.00	150.00	1650.00
23		ცხელი ბიტუმის წასმა ბეტონის ზედაპირზე 2-ჯერ	$მ^2$	25.00	40.00	1000.00
24		ცხაურების ლითონკონსტრუქციების შეძენა მონტაჟი	ტ	2.42	4800.00	11616.00
25		ცხაურების ლითონკონსტრუქციების შეღებვა ანტიკოროზიული საღებავით 2-ჯერ	$მ^2$	73.00	20.00	1460.00
26		გრუნტის და სამშენებლო ნარჩენების ტრანსპორტირება ავტოთვითმცლელებით ნაყარში	ტ	215.00	5.00	1075.00
27		სანაყაროში მუშაობა ბულდოზერით	$მ^3$	110.00	5.00	550.00
		ავარიული წყალსაგდების წყალჩამქრობი ჭის მოწყობა				
28		წყალჩამქრობი ჭის ფარგლებში, ექსკავატორით 5მ-მდე სიმაღლის ჭრილის დამუშავება III ჯგუფის გრუნტში და ჩატვირთვა ავტოთვითმცლელებში	$მ^3$	54.90	5.00	274.50
29		III ჯგუფის გრუნტის დამუშავება/ჩასწორება ხელით ქვაბულში და ჩატვირთვა ავტოთვითმცლელებში	$მ^3$	2.90	20.00	58.00
30		დატკეპნილი ბალასტის საფუძვლის მოწყობა 15 სმ სისქის	$მ^3$	2.60	20.00	52.00

1	2	3	4	5	6	7
31		B-25 კლასის მონოლითური ბეტონით მოსამზადებელი ფენის მოწყობა სისქით 10 სმ	$მ^3$	1.68	400.00	672.00
32		B-25 F200 W6 კლასის მონოლითური რკინაბეტონით საძირკვლის ფილის მოწყობა სისქით 60 სმ	$მ^3$	9.40	400.00	3760.00
33		არმატურა A500C შეძენა მონტაჟი	ტ	0.90	2800.00	2520.00
34		არმატურა A240 შეძენა მონტაჟი	ტ	0.05	2800.00	140.00
35		B-25 F200 W6 კლასის მონოლითური რკინაბეტონის კედლების მოწყობა სისქით 60 სმ	$მ^3$	29.50	400.00	11800.00
36		არმატურა A500C შეძენა მონტაჟი	ტ	1.55	2800.00	4340.00
37		არმატურა A240 შეძენა მონტაჟი	ტ	0.17	2800.00	476.00
38		Ø820X7 ფოლადის მილის შეძენა ჩადება კედელში ჩობალის მოსაწყობად	ტ	0.14	3800.00	532.00
39		ცხელი ბიტუმის წასმა ბეტონის ზედაპირზე 2-ჯერ	$მ^2$	60.00	20.00	1200.00
40		დაბეტონების ნაკერის ჰერმეტიზაცია ჰიდროსაიზოლაციო ზონარით (ფართოვდება დასველებისას)	მ	13.60	50.00	680.00
41		უკუჩაყრა ბალასტით და დატკეპნა	$მ^3$	14.90	20.00	298.00
42		დატვირთული გრუნტის ტრანსპორტირება ავტოთვითმცლელებით 2 კმ-მდე მანძილზე და დასაწყობება შემდგომი გამოყენებისთვის	ტ	104.40	5.00	522.00
		ავარიული წყალსაგდები მილსადენის მოწყობა (L=68მ)				
43		ტრანშეის დამუშავება ექსკავატორით III კატეგორიის გრუნტში და ჩატვირთვა ავტოთვითმცლელებში	$მ^3$	70.00	5.00	350.00
44		მილსადენის საყრდენების მოსაწყობად ორმოს ამოღება ხელით 20-25^0 დახრის მქონე ფერდობზე III კატეგორიის გრუნტში, ადგილზე დაყრით	$მ^3$	25.00	20.00	500.00
45		III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ბულდოზერით (96კვტ) მიწის 20 მ-ზე გადაადგილებით	$მ^3$	40.00	5.00	200.00
46		ტრანშეის ფარგლებში ხრეშოვანი ბალასტის უკუჩაყრა და დატკეპნა	$მ^3$	30.00	20.00	600.00
47		მილსადენის ძირში ქვიშის საგების მოწყობა, სისქით 20 სმ	$მ^3$	6.00	50.00	300.00
48		მილსადენის საყრდენებისთვის 15სმ სისქის ღორღის საფუძვლის მოწყობა და დატკეპნა	$მ^3$	2.00	20.00	40.00
49		B-25 F200 W6 კლასის მონოლითური ბეტონის ს-1 და ს-2 საყრდენების მოწყობა	$მ^3$	6.50	400.00	2600.00
50		B-25 F200 W6 კლასის მონოლითური რკინაბეტონის ს-3 (3 ცალი), ს-4 (1ცალი) და ს-5 (1ცალი) საყრდენების მოწყობა	$მ^3$	7.20	400.00	2880.00
51		საყრდენების არმატურა A500C შეძენა მონტაჟი	ტ	0.20	2800.00	560.00
52		საყრდენების არმატურა A240 შეძენა მონტაჟი	ტ	0.02	2800.00	56.00
53		საყრდენების ჩდ-1 ჩასაყოლებელი დეტალების ლითონკონსტრუქციები (5 ცალი)	ტ	0.22	4800.00	1056.00
54		მილის სამაგრი ც-1 ლითონის ცალუღების მოწყობა (5 ცალი)	ტ	0.14	3800.00	532.00
55		ცხელი ბიტუმის წასმა ბეტონის ზედაპირზე 2-ჯერ	$მ^2$	57.00	20.00	1140.00

1	2	3	4	5	6	7
56		ადგილობრივი გრუნტის უკუჩაყრა საყრდენების გარშემო და დატკეპნა	$მ^3$	15.00	20.00	300.00
57		მილის დროებითი სამონტაჟო საყრდენების მოწყობა ბიჯით 3 მეტრი . ერთ საყრდენზე: ხის მორი 0.03$მ^3$; ხის ძელი -0.01$მ^3$ (16 ცალი)	$მ^3$	0.72	1200.00	864.00
58		ფოლადის მილის Ø720X10 მმ (ქარხნული იზოლაციით) შეძენა მონტაჟი ტრანშეაში	მ	68.00	534.50	36346.00
59		ტრანშეის შევსება ქვიშახრეშით და დატკეპნა	$მ^3$	5.50	50.00	275.00
60		მოჭრილი გრუნტის მოსწორება ბულდოზერით მიწის 20 მ-ზე გადაადგილებით	$მ^3$	10.00	5.00	50.00
61		დატვირტული გრუნტის ტრანსპორტირება ნაყარში	ტ	126.00	5.00	630.00
62		სანაყაროზე მუშაობა ბულდოზერით	$მ^3$	70.00	5.00	350.00
		სულ №3				**127038.50**
№4		**მონოლითური რკინაბეტონის არხის მოწყობა L=40მ**				
1		არხის ფარგლებში, ექსკავატორით 5მ-მდე სიმაღლის ჭრილის დამუშავება III ჯგუფის გრუნტში და ჩატვირთვა ავტოთვითმცლელებში	$მ^3$	570.00	5.00	2850.00
2		III ჯგუფის გრუნტის დამუშავება/ჩასწორება ხელით ქვაბულში და ჩატვირთვა ავტოთვითმცლელებში	$მ^3$	30.00	20.00	600.00
3		დატკეპნილი ბალასტის საფუძვლის მოწყობა 20 სმ სისქის	$მ^3$	36.80	20.00	736.00
4		B-25 კლასის მონოლითური ბეტონით მოსამზადებელი ფენის მოწყობა სისქით 10 სმ	$მ^3$	17.60	400.00	7040.00
5		B-25 F200 W6 კლასის მონოლითური რკინაბეტონით არხის ძირის მოოწყობა სისქით 40 სმ	$მ^3$	61.00	400.00	24400.00
6		არმატურა A500C შეძენა მონტაჟი	ტ	3.80	2800.00	10640.00
7		არმატურა A240 შეძენა მონტაჟი	ტ	0.35	2800.00	980.00
8		დაბეტონების ნაკერის ჰერმეტიზაცია ჰიდროსაიზოლაციო ზონარით (ფართოვდება დასველებისას)	მ	80.00	50.00	4000.00
9		B-25 F200 W6 კლასის მონოლითური რკინაბეტონით არხის კედლების მოოწყობა სისქით 40 სმ	$მ^3$	62.40	400.00	24960.00
10		არმატურა A500C შეძენა მონტაჟი	ტ	3.80	2800.00	10640.00
11		არმატურა A240 შეძენა მონტაჟი	ტ	0.35	2800.00	980.00
12		სადეფორმაციო ნაკერის მოწყობა 5სმ სისქის ქაფპლასტის ჩადებით	$მ^2$	60.00	30.00	1800.00
13		ცხელი ბიტუმის წასმა ბეტონის ზედაპირზე 2-ჯერ	$მ^2$	112.00	40.00	4480.00
14		უკუჩაყრა ბალასტით და დატკეპნა	$მ^3$	140.80	20.00	2816.00
15		დატვირთული გრუნტის ტრანსპორტირება ავტოთვითმცლელებით 2 კმ-მდე მანძილზე და დასაწყობება შემდგომი გამოყენებისთვის (200 მ3)	ტ	360.00	5.00	1800.00
16		დატვირთული გრუნტის ტრანსპორტირება ავტოთვითმცლელებით ნაყარზე (400 მ3)	ტ	720.00	5.00	3600.00
17		სანაყაროზე მუშაობა ბულდოზერით	$მ^3$	400.00	5.00	2000.00
		სულ №4				**104322.00**

1	2	3	4	5	6	7
№5		**ფერდობის ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებები**				
1		20-25^0 დახრის მქონე ფერდობზე III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ბულდოზერით 1.5 მ სიღრმემდე და გადაადგილება 20 მ მანძილზე	მ^3	470.00	5.00	2350.00
2		დასაწყობებული გრუნტის დატვირთვა ექსკავატორით ავტოთვითმცლელებზე	მ^3	580.00	5.00	2900.00
3		გრუნტის ტრანსპორტირება 2 კმ-მდე მანძილზე	ტ	1044.00	5.00	5220.00
4		გრუნტის მოსწორება ბულდოზერით (96კვტ)	მ^3	580.00	5.00	2900.00
5		გრუნტის დატკეპნა ხელით ფერდობზე	მ^3	1050.00	20.00	21000.00
6		ეროზიისაგან დამცავი გეობადის (GeoMat) შეძენა მოწყობა, გეობადის პირობითი სისქე 10მმ, სიმკვრივე 300გრ/მ²	მ^2	1900.00	7.50	14250.00
7		გეობადის სამაგრი ანკერების შეძენა მოწყობა Ø10-12მმ (A240), L=650მმ	ცალი	2375.00	8.00	19000.00
8		გეობადეზე ნაყოფიერი ნიადაგის მოწყობა, სისქით 5...10 სმ	მ^3	209.00	80.00	16720.00
9		ბალახის დათესვა	მ^2	1900.00	4.68	8892.00
		სულ №5				**93,232.00**
		სულ ჯამი №1÷№5				**450,027.50**
		გაუთვალისწინებელი ხარჯები 3%	3%			**13,500.83**
		ჯამი				**463,528.33**
		დღგ 18%	18%			**83,435.10**
		სულ ხარჯთაღრიცხვით				**546,963.43**

<u>შენიშვა:</u>

1) ზედნადები ხარჯები და გეგმიური მოგება გათვალისწინებული უნდა იქნას შემოთავაზებულ ერთეულის ღირებულებაში.

2) დაგროვებადი პენსიის გადასახადი (2% ხელფასის ფონდიდან) პრეტენდენტის მიერ უნდა იყოს გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის ღირებულებაში.

(ხელმოწერა) ბ/ა (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

BANK OF GEORGIA
BUSINESS

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია # PE1015105-22

19 აგვისტო 2022 წელი

საქართველო
გარანტი: სს საქართველოს ბანკი (შემდგომში „გარანტი“)
გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869
გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო
პრინციპალი: შპს ლავა (შემდგომში „პრინციპალი“)
პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 425357277
პრინციპალის მისამართი: საქართველო, ბოლნისი, დ. კაზრეთი,კორპ.126/1 ბ.13
ბენეფიციარი: შპს საქართველოს მელიორაცია (შემდგომში „ბენეფიციარი“)
ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 204524568
ბენეფიციარის მისამართი: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, გ. გულუას ქ., N6
საგარანტიო თანხა: 27,350.00 (ოცდაშვიდი ათას სამას ორმოცდაათი და 00/100) ლარი
ტენდერის უნიკალური ნომერი:NAT220012347

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა "მარნეულის მუნიციპალიტეტში ახალი სადახლოს მაგისტრალური არხის პკ 60+00-ზე მოწყობილი რკინაბეტონის დიუკერის შესასვლელ სათავისთან ეროზირებული ფერდის აღდგენა-გამაგრების" სამუშაოების შესრულების მიზნით წარდგენილი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 27,350.00 (ოცდაშვიდი ათას სამას ორმოცდაათი და 00/100) ლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის, გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველზე, მოთხოვნის მიღებიდან მომდევნო 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად, საბანკო რეკვიზიტები და განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან, დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის საჭიროების გარეშე. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ბანკი უფლებამოსილია არ მოითხოვოს აღნიშნული საბუთი, თუ ხელმომწერი პირის უფლებამოსილების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია) და საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს: 10 მაისი 2023 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი წერილობით მოთხოვნის ორიგინალი დოკუმენტი თანხის ანაზღაურებაზე, გარანტის მიერ მიღებულ უნდა იქნას გარანტიის მოქმედების ვადის ჩათვლით სს "საქართველოს ბანკის" სათავო ოფისში, კანცელარიის სამსახურში ან/და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერითა და შტამპით (იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, მისაღებია მხოლოდ კვალიფიციური ელექტრონული შტამპი), ვაჭრობის სტრუქტურული დაფინანსების დეპარტამენტის საყურადღებოდ, თბილისის დროით (UTC / GMT +04: 00 საათი) 17:00 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: გაგარინის ქ.#29ა, თბილისი 0160, საქაროველო.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება/მცირდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით;
- ბენეფიციარის მიერ საბანკო გარანტიის თანხის შემცირების შესახებ წერილობითი შეტყობინებით.

გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ეთერ ჩხეიძე
ადგილობრივი გარანტიების სამსახურის უფროსი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის თანახმად ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი პირი, შემსრულებელი, კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი და ვიზის დამდები პირები ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემულ მიმწოდებელთან.

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ დასტური მიღებულია ელექტრონულად.